

# დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო



დაფინანსებულია ENPARD-ის მიერ  
- ევროკავშირის პროგრამა  
სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარებისთვის



## საგრანტო სახელმძღვანელო



## რეზიუმე

პროექტი “სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში” ხორციელდება საქართველოში, სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD II) ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის წამყვანი ორგანიზაციაა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: მერსი ქორფსი, დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობა და ELVA - საზოგადოებრივი ჩართულობა.

პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში სიღარიბის შემცირება სოფლის განვითარების ახალი და ინოვაციური მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროექტის კონკრეტული მიზანია ახალქალაქში ქვემოდან-ზემოთ, ინკლუზიური სოფლის განვითარების მიდგომის ხელშეწყობა, რაც მთლიანად ჩართავს მუნიციპალიტეტის ყველა თემს და განსაკუთრებით ქალებსა და ახალგაზრდებს. პროექტი გამოიყენებს LEADER (სოფლის განვითარების საქმიანობათა შორის კავშირები) მიდგომას, რომელიც ინტეგრირებული სოფლის განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ევროკავშირში 1991 წლიდან. პროექტი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს არა მარტო ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სექტორებს, არამედ ტურიზმს, გარემოს დაცვას, სოციალური საკითხებსა და სოციალურად დაუცველი ჯგუფების ჩართულობას ადგილობრივ დონეზე.

LEADER მეთოდოლოგიის პრინციპების შესრულების მიზნით, ახალქალაქში შეიქმნა ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG). ეს არის ნებაყოფლობითი ორგანო, რომელიც შედგება კერძო და საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და ახდენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წევრების მობილიზებას მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ამ პლატფორმის შედგენას წინ უძღოდა ადგილობრივი მოსახლეობის სათემო მობილიზაციის პროცესი, რის შედეგადაც მომზადდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგია და ის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც საგრანტო კომპონენტის განხორციელების საფუძველი გახდა. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავდა ახალქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან და განსაკუთრებით, ახალქალაქის LAG-ის ჯგუფებთან კონსულტაციის გზით. საგრანტო კონკურსის მეთოდოლოგია და განხორციელება დეტალურადაა აღწერილი მომდევნო თავებში.

## 1. საგრანტო პროგრამის მიზანი

საგრანტო პროგრამის მიზანია, საგრანტო დაფინანსებით ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ქვეპროექტების მდგრადი განვითარების მხარდაჭერა. ამ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო ქვეპროექტებმა უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ სარგებელი როგორც ახალქალაქის მოსახლეობისა და თემების, ისე ბიზნესისა და ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის. ყველა დაფინანსებული ქვეპროექტი უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და ახალქალაქის LAG-ის მიერ დადგენილი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტს.

## 2. საგრანტო პროგრამის მიზნები, ამოცანები და შედეგები

## დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

საგრანტო პროგრამის მთავარი მიზანია:

*ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირება, ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაცია და მუნიციპალიტეტის გადაქცევა უკეთეს საცხოვრებელ ადგილად*

საგრანტო პროგრამა მოიცავს შემდეგ ოთხ ამოცანას:

- ადგილობრივი შემოსავლის გაზრდა და ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა
- სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ფოკუსით
- ადგილობრივი ტურიზმის პოტენციალის გაფართოება და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია და მხარდაჭერა
- მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვა

გრანტი შეიძლება მიენიჭოს განვითარების შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებების - შედეგების მხარდაჭერას:

1. სასოფლო-სამეურნეო სექტორის დივერსიფიკაციის, პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გაზრდას, მათ შორის ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის ხელშეწყობას
2. ადგილობრივი ეკონომიკის (მცირე და საშუალო ბიზნესის) დივერსიფიკაციის მხარდაჭერასა და ბიზნესის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას
3. ცხოვრების ხარისხის, განათლების, სპორტის, კულტურისა და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესებას
4. ადგილობრივი გენდერისა და ახალგაზრდების მხარდაჭერას
5. ტურისტული მომსახურების და ინფრასტრუქტურის განვითარებას თემებსა და ქალაქებში ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის შესაბამისად
6. ტურისტებისა და ვიზიტორების დასასვენებელი, გასართობი და რეკრეაციული დანიშნულების ადგილების განვითარებას
7. ეკოლოგიური და ენერგოეფექტური პრაქტიკის ხელშეწყობას
8. ნარჩენების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებასა და გადამუშავებას
9. გარემოს დაცვასა და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებას

### 3. დასაშვები საქმიანობა

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი საქმიანობის საორიენტაციო ჩამონათვალი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პოტენციურ პროექტებს-საქმიანობებს:

1. ინოვაციური პრაქტიკის და ტექნოლოგიებს დანერგვას, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდას
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერირების და სხვა ფერმერული გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობას
3. სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას
4. სოფლის მეურნეობის მომსახურების მიმწოდებლების გაძლიერებას (კერძო და საჯარო)
5. ეკო/ბიოლოგიური სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვას
6. ფერმერებს შორის ენერგოეფექტური და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას
7. ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერას წარმოებაში, დამუშავებასა და მარკეტინგში
8. სოფლის მეურნეობაში ქალებისა და ახალგაზრდების მცირე და საშუალო ბიზნესის პროექტების მხარდაჭერას

#### დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

9. ინოვაციური/არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესის და წარმოების ბიზნეს დივერსიფიკაციების ხელშეწყობას
10. ინოვაციურ არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ქალებისა და ახალგაზრდების მცირე და საშუალო ბიზნესის პროექტების მხარდაჭერას
11. საზოგადოებრივი და სოციალური ინფრასტრუქტურისა და ობიექტების განვითარების ხელშეწყობას
12. თემში სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას
13. საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ობიექტების რეაბილიტაციას
14. კულტურული ღონისძიებებისა და ინტეგრაციის ინიციატივების ხელშეწყობას
15. ფიჭური და სახელმწიფო ტელევიზიის გადაცემებისა და ინტერნეტ კავშირის ხელმისაწვდომობისა და გაუმჯობესების ხელშეწყობას
16. სოციალური მეწარმეობის განვითარების წახალისებას
17. სოციალურ საქმიანობაში გენდერისა და ახალგაზრდების ჩართულობას
18. ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურების მხარდაჭერას თემებში, მათ შორის, კვების ობიექტებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას
19. ტურიზმთან დაკავშირებული გადამკვეთი სექტორების მხარდაჭერას, როგორცაა აგრო ტურიზმი, ეკო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვ.
20. ტურისტული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას; ტრადიციებისა და ეთნო-კულტურული მემკვიდრეობის ავთენტური პროდუქტების აღდგენას
21. ტურისტული ადგილებისთვის რუკების შედგენას
22. ტურიზმის მომსახურების მიმწოდებლების უნარ-ჩვევების, სტანდარტებისა და შემოსავლიანობის გაზრდის ხელშეწყობას
23. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის რეაბილიტაციასა და კონსერვაციას
24. კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას, ადგილობრივი ხელოვნებისა და ხელნაკეთობის გამოფენების, ფესტივალების, ბაზრობების, კონკურსებისა და სხვ. მოწყობას
25. ჯავახეთის დაცული ტერიტორიის მომსახურების პოპულარიზაციას
26. ტურისტებისა და ვიზიტორებისთვის ადგილების / ღირსშესანიშნაობების განვითარებას
27. ტურიზმთან, დასვენებასთან, გართობასა და რეკრეაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას
28. განახლებადი ენერგომოხმარების, ენერგოეფექტური პრაქტიკის დანერგვასა და მის პოპულარიზაციას
29. გარემოსდაცვითი პრაქტიკის გამოყენებასა და მის პოპულარიზაციას
30. მიტოვებული ადგილების რეაბილიტაციასა და აღდგენას
31. ნარჩენების მართვის სისტემის მათ შორის, შეგროვებისა და ნაგავსაყრელების გაუმჯობესებას,
32. სასოფლო-სამეურნეო და ბიო-ნარჩენების მართვის სისტემის გამოყენებასა და მის პოპულარიზაციას
33. რეკრეაციული ადგილებისა და ტყეების რეაბილიტაციას
34. საჯარო პარკების, ბილიკების, გაზონებისა და ა.შ. გაუმჯობესებას

საგრანტო კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები და ხარჯები:

1. უძრავი ქონების (მიწა, შენობა) შესყიდვა გრანტის თანხით
2. სემინარებში, კონფერენციებში და კონგრესებში მონაწილეობა
3. მიმდინარე ხარჯები, როგორცაა პერსონალის ხელფასები, საოფისე გაქირავება და კომუნალური ხარჯები

## დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

4. სესხები და სესხების მომსახურების ხარჯები
5. საპროცენტო გადასახადები
6. დანაკარგები ან მოსალოდნელი მომავალი ვალდებულებები
7. ბენეფიციარის მიერ სხვა პროექტსა ან სამუშაო პროგრამაზე გაწეული ხარჯები
8. სესხის ან კრედიტის გაცემა
9. საქმიანობა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობისა და პოლიტიკური ორიენტაციის საფუძველზე ფიზიკური ან ჯგუფების დისკრიმინაციამ

### 4. მისაღები განმცხადებლები

განმცხადებელი შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული შემდეგი პირი ან ორგანიზაცია:

1. საქართველოს მოქალაქე (ზრდასრული პირი)
2. იურიდიულად რეგისტრირებული მეწარმე (კომერციული საწარმო), რომელსაც აქვს შემდეგი სამართლებრივი ფორმა:
  - ინდემწარმეობა
  - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
  - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
  - კომანდიტური საზოგადოება
  - სააქციო საზოგადოება
3. რეგისტრირებული, სტატუსის მქონე სასოფლო ს ა მეურნეო კოოპერატივები
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები და ა.შ.)
5. ადგილობრივი ხელისუფლება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (სააგენტოები, სსიპ)

განმცხადებელს უნდა ჰქონდეს სოფლის მეურნეობასა ან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში მუშაობის გამოცდილება და უნარები, ის უშუალოდ უნდა იყოს პასუხისმგებელი პარტნიორების წინაშე საქმიანობის მომზადებასა და მართვაზე და არ იყენებდეს შუამავალს. განმცხადებელმა უნდა განახორციელოს ქვე-პროექტის საქმიანობა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პრიორიტეტი მიენიჭება შემდეგ განმცხადებლებს:

- შემდეგი ჯგუფების ბენეფიციარებს:
  - ქალებს
  - ახალგაზრდებს (18 დან 30 წლამდე)
  - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს
- ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დამწერგავს
- ვინც უზრუნველყოს უფრო მეტი ფინანსური მონაწილეობის მიღებას (განსაკუთრებით მესამე პირების სახსრების მოზიდვას)

საგრანტო პროგრამა არ დააფინანსებს:

- პოლიტიკური პარტიებს
- რელიგიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს
- ფინანსურ ინსტიტუტებს

### 5. პროექტის ხანგრძლივობა

## დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

დაფინანსებული პროექტის განხორციელება დაიწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - შესაბამისი შესყიდვის დასრულების შემდეგ. პროექტის განხორციელების ბოლო ვადაა არა უგვიანეს 2020 წლის 1 მაისისა.

### 6. საგრანტო განაცხადის პროცესი

#### 6.1. ინფორმირების პროცესი

საგრანტო განაცხადის დაწყებას წინ უძღვის ყოვლისმომცველი ანიმაციის პროცესი, რომელიც ინფორმაციას მიაწვდის ფართო აუდიტორიას ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. LDS დაიბეჭდება და ასლები ხელმისაწვდომი იქნება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, თითოეული სოფლის საკრებულოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებში. დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ LAG-ის ვებ-გვერდზე: <http://akhalkalakilag.ge>, GIPA'-სა და [Mercy Corps Georgia](#) ვებ გვერდებზე.

LDS-ის სინოფსისი უზრუნველყოფს ინფორმაციას LDS-ის მიზნებზე, ამოცანებსა და შედეგებზე, ასევე ხელმისაწვდომი იქნება საჯარო გავრცელებისათვის.

პროცესის გაძლიერების მიზნით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ყველა ადგილობრივ ადმინისტრაციულ ერთეულში სპეციალურ ვადებში გაიმართება *საჯარო საორიენტაციო შეხვედრები*, სადაც დაინტერესებულ განმცხადებლებს შეეძლება მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია განაცხადის პროცესის, ვადების, პროექტის წარდგენისა და შეფასების შესახებ და ა.შ. შეხვედრებში მონაწილეებს ასევე განემარტებათ, თუ როგორ უნდა შეავსონ და წარმოადგინონ **ინტერესის გამოხატვის ფორმა (EoI)**. ახალქალაქის LAG-ის ვებ-გვერდი მიაწვდის ინფორმაციას გრანტთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, მათ შორის კითხვებსა და პასუხებს. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, საგრანტო განაცხადის ყველა ეტაპი და ზოგადად, ადგილობრივი განვითარების პროცესი გამოცხადდება და განთავსდება ახალქალაქის LAG-ის ვებ-გვერდის პლატფორმაზე. უფრო მეტიც, ადგილობრივ მედიასაშუალებებში გაკეთდება განცხადებები როგორც გრანტის შესაძლებლობების, ასევე ადგილობრივი განვითარების პროცესის შესახებ, რაც შეიძლება ფართო აუდიტორიის ინფორმირების უზრუნველყოფის მისაღწევად.

#### 6.2. საგრანტო პროექტის დაფინანსება და თანადაფინანსება

გრანტის სახსრები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ წარმატებული პროექტის განაცხადის მხარდასაჭერად. დაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 1,000 ლარს, მაქსიმალური - 150,000-ს, ხოლო დაფინანსების საშუალო ოდენობა - 50,000 ლარს. განმცხადებლებს მოეთხოვებათ ფულადი თანამონაწილეობა. ნატურით თანამონაწილეობის ფორმა არ არის მისაღები და არც აუცილებელი. თანამონაწილეობის მოცულობა დამოკიდებული იქნება განმცხადებლის სამართლებრივ სტატუსზე შემდეგნაირად:

- კომერციული პირები (შპს, ინდემწარმე, და ა.შ.) - მინიმუმ 35%
- მუნიციპალური და სამთავრობო უწყებები - მინიმუმ 35%
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები - მინიმუმ 20%
- არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაციები და სხვა ორგანიზაციები - მინიმუმ 15%
- სოციალური (არაკომერციული) პროექტებისთვის ადგილობრივი თემები და ინდივიდუალური პირები (ფიზიკური პირები) - მინიმუმ 15%

თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი აღებულია მთლიანი ბიუჯეტიდან, მაგალითად, თუ ბიუჯეტი 20,000 ლარია, მაშინ თანადაფინანსების 50% იქნება 10,000 ლარი. თანადაფინანსება შეიძლება მომდინარეობდეს განმცხადებლების კუთვნილი ფულადი სახსრებიდან ან სხვა დონორი ორგანიზაციის, ფონდისა ან ნებისმიერი მესამე

დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

მხარისგან. თანადაფინანსება შეიძლება გადაირიცხოს ანგარიშვალდებული ორგანოს ანგარიშზე და გამოყენებულ იქნას საგრანტო ფონდთან ერთად, პროექტის განაცხადში ჩამოთვლილი ნივთების შესასყიდად .

**6.3. განაცხადის წარდგენა და შერჩევის პროცესი**

**5.3. განაცხადის წარდგენა და შერჩევის პროცესი**

გრანტის დაფინანსებისათვის შერჩევამდე თითოეულმა განმცხადებელმა უნდა გაიაროს განაცხადის წარდგენის სამი საფეხური. თითოეული მათგანი მოიცავს შერჩევის პროცესს, რომლის დროსაც თითოეულ პროექტს საბოლოოდ ამტკიცებს ან უარყოფს LAG-ის უმრავლესობის გადაწყვეტილება. ეს სამი საფეხური მოიცავს:

1. დაინტერესების გამოხატვას (EOI)
2. სრული განაცხადის წარდგენას
3. ტექნიკურ შეფასებას

**საფეხური 1: ინტერესის გამოხატვა**

ინტერესთა გამოხატვის განაცხადი (EOI) (ხელმისაწვდომია ახალქალაქის LAG-ის ვებ-გვერდზე <http://akhalkalakilag.ge>) მარტივი ფორმაა (მოცემულია ქვემოთ), რომელზეც დაინტერესებული განმცხადებლები წარმოადგენენ პროექტის იდეას. ინტერესის გამოხატვისას მოწოდებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება განმცხადებლების შესაბამისობის დასადგენად სრული შეფასების პროცესის შემდგომი ეტაპზე გადასასვლელად.

EOI შინაარსი

ინტერესის გამოხატვის შინაარსის ფორმა	შენიშვნები
1. (განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადობის ნომერი (კომპანიის სახელი და რეგისტრაციის ნომერი)	ორგანიზაციის, ბიზნესის ან ინდივიდუალური პირის სახელი, რომელიც განაცხადს აკეთებს გრანტის დაფინანსების მისაღებად
2. პროექტის დასახელება (10 სიტყვა მაქს)	პროექტის მოკლე დასახელება
3. პროექტის განხორციელების ადგილი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის თემი, სოფელი ან ქალაქი, სადაც პროექტი განხორციელდება
4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თნხის რაოდენობა (ლარებში)	მთლიანი პროექტის სავარაუდო ღირებულება ლარში
5. მოთხოვნილი საგრანტო თანხა (ლარებში)	პროექტის განხორციელების დაფინანსებისთვის საჭირო თანხის რაოდენობა, რომელსაც LAG ითხოვს
6. თანადაფინანსების თანხა (ლარებში)	თანხის რაოდენობა, რომელიც განმცხადებლის ან სხვა დონორის/მესამე პირის მიერ ნაღდი ფულის სახით გადაეცემა პროექტის განსახორციელებლად
7. თანადაფინანსების წყაროები	ქვეპროექტის თანადაფინანსების შემოთავაზებული წყაროების ჩამონათვალი
8. მოთხოვნილი საგრანტო თანხის რაოდენობა (%)	მოთხოვნილი საგრანტო თანხის პროცენტი საერთო ბიუჯეტიდან
9. თანადაფინანსების თანხის პროპორცია (%)	მთლიანი პროექტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების თანხის პროცენტი
10. პროექტის ხანგრძლივობა	რამდენი დღე / თვე ჭირდება პროექტის დასრულებას (არ უნდა გადასცილდეს 2020 წლის 1 მაისს)

დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

11. განმცხადებლის სამართლებრივი სტატუსი	განმცხადებლის, როგორც ბიზნესის(შპს, ინდემწარმე, კოოპერატივის და სხვ.) არასამთავრობო ორგანიზაციის, ასოციაციის ან ფიზიკური პირის რეგისტრაცია
12. განმცხადებლის სამართლებრივი სტატუსი გრანტის მიღების შემდეგ	განმცხადებლის, როგორც ბიზნესის(შპს, ინდემწარმე, კოოპერატივის და სხვ.) არასამთავრობო ორგანიზაციის, ასოციაციის ან ფიზიკური პირის რეგისტრაცია
13. განმცხადებლის ამჟამინდელი პოზიცია	განაცხადზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა ან სტატუსი
14. განმცხადებლის საქმიანობის მოკლე აღწერა (100 სიტყვა მაქს).	პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა
15. პროექტის მიზანი	რა არის პროექტის მიზანი
16. პროექტის მოკლე აღწერა (200 სიტყვა მაქსიმალური)	ინფორმაცია, თუ რა არის პროექტი, რა უნდა გაკეთდეს და რა სარგებელი მოაქვს მას
17. რომელი მიზნისკენაა მიმართული პროექტის იდეას?	მიუთითეთ დასახული მიზანი (მიზნები) ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მიხედვით (LDS)
18. შერჩეული მიზნებიდან გამომდინარე, რომელი შედეგი მიიღწევა	მიუთითეთ ის შედეგი (შედეგები), რომლებიც მიიღწევა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მიხედვით (LDS)
19. აღწერა, თუ როგორ დაეხმარება პროექტი მიზნებისა და შედეგების მიღწევას (100 სიტყვა მაქს)	განმარტება, თუ როგორ დაეხმარება პროექტი დასახული მიზნისა (ებისა) და შედეგის (ების) მიღწევაში, მათ შორის ეკოლოგიის და გარემოს დაცვის; გენდერისა და ახალგაზრდობის; უმცირესობებისა და ინტეგრაციის; ინოვაციის; ეროვნული ენის პოპულარიზაციის გათვალისწინებით
20. მისამართი	განმცხადებლის მისამართი
21. ტელეფონის ნომერი	განმცხადებლის კორპორატიული და პირადი ტელეფონის ნომრები
22. ელექტრონული ფოსტის მისამართი	განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი

განმცხადებლებს მოეთხოვება, შეავსონ ფორმის ყველა განყოფილება და წარადგინონ ის განსაზღვრული ვადაში, დადგენილ დრომდე, განაცხადების შემოტანის შესახებ გაკეთებული განცხადების შესაბამისად.

EOI ფორმის ნახეჭდი ასლები დახურული კონვერტით უნდა პირადად გადაეცეს შემდეგ მისამართზე:

*სერგეი ხაჩატრიანი*

*LEADER კოორდინატორი*

*ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)*

*ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD)*

*გუსან ჰავასის ქუჩა 7,*

*0700, ახალქალაქი, საქართველო*

განმცხადებლები მიიღებენ მიღება-ჩაბარების ფურცელს და განაცხადების წარდგენის დასტურად ხელს აწერენ განმცხადებელთა სიაზე.

ინტერესთა გამოხატვის ფორმის შევსება შესაძლებელია ონლაინ რეჟიმშიც შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [www.akhalkalakilag.ge/applications/eoi](http://www.akhalkalakilag.ge/applications/eoi). პასუხს და



#### დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

შევსებული განაცხადის ელექტრონულ ვერსიას განმცხადებლები მიიღებენ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

განაცხადის ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ელექტრონული ბმულიდან: [www.akhalkalakilag.ge/applications/downloads/eoi](http://www.akhalkalakilag.ge/applications/downloads/eoi). განმცხადებელმა უნდა შეავსოს განაცხადის ფორმა და გამოაგზავნოს ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [applications@akhalkalakilag.ge](mailto:applications@akhalkalakilag.ge). განმცხადებელი განაცხადის წარმატებით მიღებასთან დაკავშირებით ღებულობს პასუხს თავისივე ელექტრონულ ფოსტაზე.

საანგარიშო პერიოდის შემდეგ წარდგენილი EOI განაცხადი არ მიიღება შესაფასებლად LAG-ის მიერ.

#### ინტერესთა გამოხატვის განაცხადების (EOI) შეფასება

EOI-ის განაცხადს გააანალიზებს და შეაფასებს ლიდერ კოორდინატორი, თავმჯდომარე, LAG-ის ვიცე-თავმჯდომარეები და წარუდგენს LAG-ის პროექტების შეფასების კომიტეტს (PAC) დამტკიცებისა ან უარყოფისთვის. ლიდერ კოორდინატორი, თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარეები შეაფასებენ პროექტებს, ყველა 7 ძირითადი კრიტერიუმის დაკმაყოფილების მიხედვით. EOI შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

1. **გეოგრაფიული მდებარეობა:** პროექტი უნდა განთავსდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საზღვრებში
2. **საგრანტო თანხა:** მოთხოვნილი საგრანტო თანხა შეადგენდეს 1,000 ლარიდან 150,000 ლარამდე
3. **პროექტის პერიოდი:** პროექტის განხორციელება მთლიანად უნდა დასრულდეს 2020 წლის 1 მაისამდე
4. **თანადაფინანსება:** თანადაფინანსების თანხა უნდა შეესაბამებოდეს განმცხადებლის სტატუსის მიხედვით მოთხოვნილ თანხებს
5. **LDS-თან თანხვედრა:** განაცხადმა უნდა აჩვენოს, რომ პროექტი აკმაყოფილებს LDS-ის, სულ მცირე, ერთ მიზანს და ერთ შედეგს. შესაძლებელია ერთზე მეტ მიზანთან და შედეგთან კავშირი. გარდა ამისა, განაცხადმა ასევე უნდა აჩვენოს, რომ პროექტი შეესაბამება ერთ-ერთი გადამკვეთი ამოცანის შესრულებას.
6. **განმცხადებლის იურიდიული სტატუსი:** ყველა კომერციულ, არაკომერციულ პროექტზე განმცხადებელი არ არის სავალდებულო რომ იყოს რეგისტრირებული, იურიდიული პირი. არაკომერციული პროექტებისთვის განმცხადებელი შეიძლება არ დარეგისტრირდეს.
7. **კანონიერება:** ყველა საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების კრიტერიუმებს. უკანონო საქმიანობა არ ფინანსდება.

EOI -ის შეფასების საორიენტაციო პერიოდი იქნება 1 თვე

თუ PAC უარყოფს განაცხადს ინტერესის გამოხატვის შესახებ, განმცხადებელს წერილობითი ფორმით მიეწოდება LEADER კოორდინატორის მიერ უარის თქმის მიზეზები. PAC-ის უარყოფითი გადაწყვეტილება შეიძლება განიხილულ იქნას განმცხადებელთან ერთად დამატებითი არგუმენტაციის მოსაშენად.

თუ PAC მიიღებს ინტერესთა გამოხატვის განაცხადს (EOI), მაშინ განმცხადებელი გადადის სრული განაცხადის წარდგენის მეორე საფეხურზე. წარმატებული განმცხადებლები ინფორმირებული იქნებიან შემდგომი ნაბიჯებისა და პროცედურების შესახებ. წარმატებული კანდიდატების საბოლოო სია გამოვლინდება LAG-ის გადაწყვეტილებით და გამოცხადდება ვებ-გვერდზე <http://akhalkalakilag.ge>.

დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

შენიშვნა: ამ ეტაპზე EOI-ს მიღება არ არის მომავალი დაფინანსების გარანტი. ადგილობრივი განვითარების ჯგუფს ენიჭება სრული მოქმედების თავისუფლება დაფინანსების განაცხადის გადაწყვეტილების მიღებისას.

**საფეხური 2: სრული განაცხადი**

ინტერესთა გამოხატვის განაცხადის მიღების შემდეგ განმცხადებელი მიწვეული იქნება სრული განაცხადის შევსების სწავლებაზე/ტრენინგზე. სწავლებაზე/ტრენინგზე განმცხადებელმა უნდა მიაწოდოს ყველა ინფორმაცია განაცხადის პროცესის შესახებ, როგორც უნდა შეივსოს სრული განაცხადის ფორმა და განაცხადის ბიუჯეტი (ხელმისაწვდომია ჩამოსატვირთად <http://akhalkalakilag.ge>). სწავლებისას განმცხადებელს მიეწოდება ინფორმაცია სრული განაცხადის ფორმის წარდგენის ბოლო ვადის შესახებ. გარდა ამისა, განმცხადებელს ექნება შესაძლებლობა მიიღოს GIPA-სა და მერსი ქორფსის ექსპერტების კონსულტაცია სრული განაცხადის წერის პროცესში.

**სრული განაცხადის შინაარსი**

სრული განაცხადის შინაარსი (შესაძლებელია ჩამოტვირთვა <a href="http://akhalkalakilag.ge">http://akhalkalakilag.ge</a> )	შენიშვნები
1. პროექტის რეზიუმე: იგივეა, რაც ინტერესთა გამოხატვის განაცხადის ფორმაში (EOI) განყოფილებები 1-დან 10-მდე	ინფორმაცია განმცხადებლის სახელზე, საკონტაქტო ინფორმაციაზე, პროექტის დასახელებაზე, ადგილმდებარეობასა და ხანგრძლივობაზე, მოთხოვნილი თანხასა და თანადაფინანსებაზე.
2. განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია (200 სიტყვა მაქს.)	განმცხადებლის სტატუსის, ისტორიისა და გამოცდილების აღწერა პროექტთან დაკავშირებული გამოცდილების გათვალისწინებით; საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი, ტელეფონი და ელფოსტა.
3. კავშირები/თანხვედრა LDS-თან (200 სიტყვა მაქს.)	დეტალური განმარტება, თუ რამდენად უწყობს ხელს პროექტი LDS-ს, კონკრეტული მიზნის დასახვითა და შესაბამისი შედეგების მიღწევით; სულ მცირე, ერთი გადამკვეთი სფეროს გათვალისწინებით: ეკოლოგია და გარემოს დაცვა; გენდერი და ახალგაზრდობა; უმცირესობები და ინტეგრაცია; ინოვაცია; ეროვნული ენის პოპულარიზაცია.
4. პროექტის აღწერა (500 სიტყვა მაქს.)	პროექტის იდეის განმარტება, პროექტის ძირითადი მიზანი, ჩასატარებელი ღონისძიებები, რა იქნება მიწოდებული და რომელი მეთოდები იქნება გამოყენებული.
5. პროექტის სამუშაო გეგმა	სამუშაო გეგმა უნდა შეივსოს ჩასატარებელი საქმიანობებით, დროის ჩარჩოს ჩვენებით. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს დეტალებს საჭირო ნებართვების შესახებ დაგეგმვისა ან სხვა ფორმის რეგულაციის ან დამტკიცების შესახებ.
6. პროექტის დასაბუთება (სულ 500 სიტყვა მაქს.)	ახსნა-განმარტება არსებული პრობლემის შესახებ, რომელიც უნდა მოგვარდეს, რა საჭიროებას და მოთხოვნას დააკმაყოფილებს პროექტი (200 სიტყვა მაქსიმალური); პროექტის ბენეფიციარები (100 სიტყვა მაქსიმალური); ჩატარებული კონსულტაციების ან კვლევების ტიპები საჭიროების / მოთხოვნის დემონსტრირების მიზნით (100 სიტყვა მაქს.); მსგავსი პროექტი ან ბიზნესი მუნიციპალიტეტში (100 სიტყვა მაქს.).
7. პროექტის ზემოქმედება (200 სიტყვა მაქსიმალური)	ინფორმაცია, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტი. ვინ ისარგებლებს პროექტით და როგორ; პროექტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი
8. პროექტის მდგრადობა (200 სიტყვა მაქსიმ.)	ახსნა, თუ როგორ დაფინანსდება პროექტი მომავალში და ვინ იქნება პასუხისმგებელი მისი ზედამხედველობაზე
9. ცვლილება/უარყოფითი ზემოქმედება (200 სიტყვა მაქსიმ.)	ახსნა იმისა, რომ შემოთავაზებული პროექტი უარყოფითად არ აისახება არსებულ საქმიანობებსა ან ბიზნესზე ან უარესობისაკენ შეცვლის

დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

10. გარემოს დაცვა (200 სიტყვა მაქსიმ.)	განმარტება, თუ როგორ ეხმარება შემოთავაზებული პროექტი გარემოს დაცვას და რა შესაბამისი ზომები მიიღება მისი უზრუნველყოფისათვის.
11. დონორის(ების) ან/და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადრე დაფინანსებული და განხორციელებული პროექტების აღწერა აღწერა	წინა პროექტის (ების) აღწერა, რომელსაც ახორციელებს იგივე ორგანიზაცია ან პირი, რომელიც დაფინანსდა GIPAL, მერსი ქორფსის ან ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის მიერ. შედეგები, ამჟამინდელი სტატუსი და წინა პროექტის (ების) მდგრადობა (200 სიტყვა მაქს).
12. პროექტის ხარჯები	პროექტის დეტალური ხარჯების (მოცემულია ლარებში) უზრუნველყოფა მოიცავს: ბიუჯეტის აღწერას, ხარჯებს, მოთხოვნილი გრანტის ოდენობას და თანადაფინანსების თანხას

სრული განაცხადის გარდა, განმცხადებელი ავსებს განაცხადის დეტალურ ბიუჯეტს, რომელშიც ჩამოიწერება თითოეულ შესაძენი ნივთი და ამ ნივთების რეალური ღირებულება. ბიუჯეტი ასევე მოიცავს განმცხადებლის თანადაფინანსების წვლილსაც. თუ განმცხადებელი კომერციულ სუბიექტს წარმოადგენს, მაშინ განაცხადს თან უნდა ახლდეს ბიზნესის სარეგისტრაციო დოკუმენტების ასლები. ანალოგიურად, თუ განმცხადებელი არის არასამთავრობო ორგანიზაცია ან ასოციაცია, მაშინ განაცხადთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს რეგისტრაციის დოკუმენტები და წესდება/დამადასტურებელი დოკუმენტი.

*შენიშვნა: ამ ეტაპზე განმცხადებელს არ სჭირდება ისეთი დოკუმენტაციის წარდგენა, როგორცაა ბიზნეს გეგმა და ფულადი ნაკადების ელექტრონული ცხრილები (ბიზნეს-განაცხადებისთვის) ან სამუშაოების მასშტაბი და ტექნიკური დიზაინი (სამშენებლო პროექტებისთვის) და სხვა მსგავსი დოკუმენტები, საფეხური 3-ის მოთხოვნათა შესაბამისად.*

განმცხადებლებს მოეთხოვება ორივე ფორმის შევსება და ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის წარდგენა განსაზღვრული ვადამდე, განაცხადების შემოტანის შესახებ გაკეთებული განცხადების შესაბამისად.

სრული განაცხადის ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ელექტრონული ბმულიდან: [www.akhalkalakilag.ge/applications/downloads/fullapp](http://www.akhalkalakilag.ge/applications/downloads/fullapp). ყველა დოკუმენტი უნდა შეივსოს ელექტრონულ ფორმატში, ჩაიწეროს მეხსიერების ბარათზე და წარმოდგენილ იქნას პირადად, დალუქულ კონვერტში, შემდეგ მისამართზე:

*სერგეი ხაჩატრიანი  
LEADER კოორდინატორი  
ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)  
ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD)  
გუსან ჰავასის ქუჩა 7,  
0700, ახალქალაქი, საქართველო*

განმცხადებლები მიიღებენ მიღება-ჩაბარების ფურცელს და განაცხადების წარდგენის დასტურად ხელს აწერენ განმცხადებელთა სიაზე.

განმცხადებლებს ასევე შეუძლიათ შეავსონ განაცხადის ფორმა და გამოაგზავნონ ყველა მოთხოვნილ დოკუმენტთან ერთად შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [applications@akhalkalakilag.ge](mailto:applications@akhalkalakilag.ge). განმცხადებელი განაცხადის წარმატებით მიღებასთან დაკავშირებით ლებულობს პასუხს თავისივე ელექტრონულ ფოსტაზე.

#### დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

საანგარიშო პერიოდის შემდეგ წარდგენილ განაცხადებს LAG არ მიიღებს შესაფასებლად ან შესარჩევად.

##### სრული განაცხადის შეფასება

სრულ განაცხადებს განიხილავს და ორგანიზებას უწევს LEADER კოორდინატორი. LEADER კოორდინატორი LAG-ის მინიმუმ ერთი წევრთან ერთად, შესაძლოა, ეწვიოს პროექტის განმახორციელებელ პირს ადგილზე, პროექტის იდეაზე დამატებითი ინფორმაციის მოსამიებლად და განაცხადის ან ბიუჯეტის ნებისმიერ გაურკვეველ ნაწილში სიცხადის შესატანად. ამ ვიზიტების შემდეგ ლიდერ კოორდინატორი დაწერს მოკლე ანგარიშს, რომელიც წარედგინება PAC-ს. PAC შეაფასებს პროექტს და რეკომენდაციებს წარუდგენს LAG-ს. PAC შეაფასებს და შეარჩევს ყველა პროექტს, წარმოდგენილი დოკუმენტების და ქულების შესაბამისად, პროექტის სრული განაცხადის შერჩევის კრიტერიუმებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით. ზოგიერთი ძირითადი კრიტერიუმი მოიცავს:

1. შემოთავაზებული პროექტის კავშირებს LDS-ის მიზნებსა და შედეგებთან
2. შემოთავაზებული პროექტის კავშირებს LDS-ის გადამკვეთ სფეროებთან
3. განმცხადებლის გამოცდილებასა და ცოდნას შემოთავაზებული პროექტის განსახორციელებლად
4. შემოთავაზებული პროექტის საჭიროებისა ან მოთხოვნის მძლავრ დასაბუთებას,
5. პროექტის მკაფიო აღწერას და სამუშაო გეგმის მოცემული დროის ვადებში განხორციელების სიცხადეს.
6. პროექტის ზემოქმედების და რეალურობის განმარტების სიცხადეს ბენეფიციარების, მომხმარებლების, პოტენციური თანამშრომლებისა და სხვ. მხრივ.
7. მდგრადობის გეგმის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის კვლავ ფუნქციონებასა და კონკრეტული მიზნისთვის მისი გამოყენების მიზანშეწონილობას მომდევნო 5 წლის ვადით
8. კარგად გააზრებულ და რეალურ ბიუჯეტს
9. თანადაფინანსების წყაროების დადასტურებასა და გამართლებას
10. პროექტის ინოვაციურობასა და ეკოლოგიური პრაქტიკის გამოყენებას.

თუ PAC-ს მიაჩნია, რომ არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია შეფასების ან შერჩევის გადაწყვეტილების მისაღებად, შეუძლია მოინახულოს პროექტის განმახორციელებელი ან მოითხოვოს მასთან შეხვედრა, პროექტის უფრო დეტალურად ახსნის მისაღებად. სრული განაცხადის შეფასების საორიენტაციო პერიოდი იქნება 2 თვე.

##### სრული განაცხადის შერჩევა

სპეციალური პროექტის შერჩევის სხდომას იწვევს LAG, სადაც PAC წარადგენს რეკომენდაციებს განხილულ და შეფასებულ პროექტებზე. თითოეულ პროექტზე LAG-მისცემს ხმას. პროექტი შეირჩევა LAG-ის წევრების ხმათა უმრავლესობით. თუ LAG-ის წევრები თვლიან, რომ ვერ ახერხებენ გადაწყვეტილების მიღებას PAC-ის რეკომენდაციების საფუძველზე, მაშინ მათ შეუძლიათ მოითხოვონ განმცხადებელთან შეხვედრა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ყველა უარყოფილი განმცხადებელი LEADER-ის კოორდინატორისა და პროექტის კოორდინატორისგან მიიღებს წერილობით შეტყობინებას, რომელშიც დადგენილია LAG-ის მიზეზები განცხადების უარყოფის შესახებ. PAC-ის უარყოფითი გადაწყვეტილება შეიძლება განიხილოს განმცხადებელთან ერთად დამატებითი მტკიცებულებების მოსასმენად. ყველა წარმატებული განმცხადებელი საჭიროების შემთხვევაში გადადის მე-3 საფეხურზე ტექნიკური განაცხადის პროცესის დასასრულებლად. აღნიშნული

## დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

პროექტები, რომლებსაც არ მოეთხოვება ტექნიკურ შეფასების გავლა, გადაეგზავნება ანგარიშვალდებულ ორგანოს საბოლოო თანხმობისათვის და ქვეგრანტის ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

*შენიშვნა: LEADER კოორდინატორი არ არის შერჩევის პროცესის მონაწილე და მხოლოდ დამატებით აწოდებს ინფორმაციას PAC-ს, რათა დაეხმაროს მათ გადაწყვეტილების მიღებაში.*

### საფეხური 3: ტექნიკური შეფასება

ტექნიკური შეფასების ეტაპი აუცილებელია შემდეგი ორი ტიპის განაცხადისთვის:

1. ბიზნესის დაწყების ან გაფართოების პროექტებისა და
2. სამშენებლო ან სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

#### ბიზნესის დაწყება ან გაფართოება

იმ განმცხადებლებს, რომლებიც ბიზნესის განვითარების პროექტებს გვთავაზობს, მოეთხოვებათ LAG-ს წარუდგინონ სრული ბიზნეს-გეგმა, რომელიც ასახავს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციას და ყველა სხვა ფინანსურ გათვლას. ბიზნესი, რომელსაც ამის გაკეთება დახმარების გარეშე შეუძლია, დაუყოვნებლივ წარადგენს ბიზნეს გეგმას დაფინანსებისთვის. იმ ბიზნესისთვის, ვისაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება, ტარდება ბიზნეს დაგეგმვის უფასო ტრენინგი, რის შემდეგაც განმცხადებელს ეძლევა გარკვეული პერიოდი გეგმის შესავსებად და წარსადგენად. ყველა ბიზნეს გეგმა შეფასდება დამოუკიდებელი ბიზნეს-კონსულტაციის შედეგად, რომელთა დასკვნები და რეკომენდაციები ბიზნეს გეგმის ეფექტურობასა და სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით საშუალებას მისცემს LAG-ს მივიდეს საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

#### სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოები

იმ განმცხადებლებმა, რომლებიც სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოებს გვთავაზობენ, აუცილებელია LAG-ს წარუდგინონ სრული დოკუმენტაცია: საპროექტო გეგმა და შესყიდვების რაოდენობრივი ჩამონათვალი. გარდა ამისა, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მიწის საკუთრებისა და საჭირო მშენებლობაზე ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტები. ყველა ეს დოკუმენტი მოწოდებულია განმცხადებლის ხარჯებით და LAG-ის მიერ განსაზღვრულ ვადებში. დოკუმენტაცია წარედგინება კონსულტანტ ინჟინერს, რომელიც იმუშავებს LAG-ის სახელით და რეკომენდაციას გასცემს მისი განხილვისა და ანალიზის საფუძველზე. LAG-ი პროექტს დაამტკიცებს ყველა დოკუმენტის და დიზაინის შესაბამისობის შემთხვევაში.

*შენიშვნა: პროექტის მოცულობისა და ტიპის გათვალისწინებით LAG-მა შესაძლებელია განმცხადებელს მოითხოვოს ისეთი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, როგორცაა ცნობა ყადაღის შესახებ, ლიცენზირები, ნებართვები, რეგისტრაცია, სამეზობლოს თანხმობა, დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება და ა.შ.*

### 6.4. ქვეგრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა და შესყიდვების პროცესი

LAG-ის დასტურის შემდეგ, პროექტის განაცხადები საბოლოო განხილვისთვის წარედგინება ანგარიშვალდებულ ორგანოს ლიდერ კოორდინატორის მიერ, ზემოთ აღწერილი ყველა პროცედურის სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე ანგარიშვალდებულ ორგანო აღმოაჩენს შეთანხმებული პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს, ის უფლებამოსილია,

#### დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

შეაჩეროს ქვეგრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტების სრულ წესრიგშია, წარმატებული განმცხადებელი ხელს მოაწერს ქვეგრანტის ხელშეკრულებას ანგარიშვალდებულ ორგანოსთან. ეს ხელშეკრულება ხაზს უსვამს ორი მხარის როლსა და პასუხისმგებლობებს პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაზე, ასევე, შეთანხმების პირობებზე. წარმატებული კანდიდატების საბოლოო ჩამონათვალი გამოვლინდება LAG-ის გადაწყვეტილებით და გამოქვეყნდება ვებგვერდზე <http://akhalkalakilag.ge>.

ქვეგრანტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განმცხადებელი და/ან მესამე პირი თანამონაწილობით განსაზღვრილ თანხას - თანადაფინანსებას გადაურიცხავს ანგარიშვალდებულ ორგანოს. ამ თანადაფინანსების სახსრები საგრანტო ფონდთან ერთად გამოყენებულ იქნება განმცხადებლის ბიუჯეტში ჩამოთვლილი ნივთების შესასყიდად. ყველა შესყიდვა განხორციელდება განმცხადებლის სახელით ანგარიშვალდებულ ორგანოს მიერ, განმცხადებელთან ყველა შესყიდვის შესახებ კონსულტაციების შემდეგ. თუ აღნიშნული შესყიდვა განკუთვნილია სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, მაშინ ანგარიშვალდებულ ორგანო, განმცხადებელთან ერთად, დაიწყებს სატენდერო პროცესს სამშენებლო კომპანიების მომსახურების უზრუნველსაყოფად.

შესყიდვისა და სამშენებლო საქმიანობის დასრულებისას, ყველა აქტივი, ობიექტი და ინფრასტრუქტურა გადაეცემა განმცხადებელს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათ შემდგომ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე.

#### **6.5. შერჩევის გამჭვირვალობა და გასაჩივრების მექანიზმი**

როგორც ზემოთ განიმარტა, განაცხადების შესახებ გადაწყვეტილებაზე ყველა ინფორმაცია გადაეცემა შესაბამის განმცხადებლებს. ყველა წარმატებული განაცხადი, დასაფინანსებელი პროექტების აღწერილობასთან ერთად, ხელმისაწვდომი გახდება ახალქალაქის LAG-ის ვებ-გვერდზე. ყველა უარყოფილი განაცხადი LEADER კოორდინატორისგან მიიღებს წერილობით შეტყობინებას განაცხადების უარყოფის დეტალური მიზეზების შესახებ. ნებისმიერ განმცხადებელს, რომელიც ფიქრობს, რომ მათი პროექტი უსამართლოდ იქნა უარყოფილი ან თვლის, რომ დანიშნული პროცედურები არ იქნა სათანადოდ დაცული, შეუძლია დაუკავშირდეს ანგარიშვალდებულ ორგანოს საჩივრით, რომლის შესახებაც მომჩივანს მიეწოდება დამატებითი ინფორმაცია. თუ საჩივარს აქვს მყარი საფუძველი, მაშინ ანგარიშვალდებულ ორგანო შეხვედბა LAG-ს საკითხის განსახილველად და უარყოფილი განმცხადებლის პროგრამაში აღდგენის ზომების დასადგენად.

#### **6.6. აპელაცია**


განაცხადის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ყველა ინფორმაცია პირადად გადაეცემა განმცხადებელს. გამარჯვებულები აიტვირთება LAG-ის ვებ-გვერდზე პროექტის აღწერასთან ერთად. ყველა უარყოფილ განაცხადს წერილობითი ფორმით მიეწოდება დეტალური ინფორმაცია განაცხადის შეჩერების მიზეზების შესახებ. განმცხადებელი, ვისაც მიაჩნია, რომ მათი პროექტი არასწორადაა უარყოფილი ან შესაბამისი პროცედურები არ არის დაცული, შეუძლია წერილობით მიმართოს GIPA-ს პროექტის მენეჯერს. პროექტის მენეჯერი დამოუკიდებლად იღებს დამატებით ინფორმაციას და იწვევს განმცხადებელს შეხვედრაზე. თუ განმცხადებელს აქვს ძლიერი არგუმენტები და დოკუმენტურად ადასტურებს პროცედურების დარღვევას, პროექტის მენეჯერი რეკომენდაციას გაუწევს მის განხილვას ახალქალაქის LAG-ის თავმჯდომარესთან, შემდგომში - ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის

დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

(LAG) პროექტის შეფასების კომიტეტთან. დადებითი პასუხის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, განმცხადებელმა LAG-ს უნდა წარუდგინოს მოთხოვნილი მასალების/აღჭურვილობის და ა.შ. აუცილებელი ყველა სპეციფიკაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი არ დაფინანსდება დადებითი პასუხის მიუხედავად.

**6.7. განაცხადის წარდგენის, შეფასებისა და შერჩევის პროცესის სქემა**

ქვემოთ წარმოდგენილია ახალქალაქის LAG-ის პროექტების გამოქვეყნების, შეფასებისა და შერჩევის პროცესი.



**6.8. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება**

პროექტის დაფინანსების შემდეგ, ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები.

#### დანართი 4: საგრანტო სახელმძღვანელო

პირდაპირი ბენეფიციარი აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება GIPA-ს, მერსი ქორფსისა და ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მონიტორინგის გუნდისათვის, სულ მცირე, 3 წლის განმავლობაში.

LEADER-ის მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში.

პირდაპირი ბენეფიციარები უნდა შეესაბამებოდნენ ევროკავშირის ENPARD-ის მიზნებსა და პრიორიტეტებს და მათ უნდა უზრუნველყონ ევროკავშირის დაფინანსების ხილვადობა კომუნიკაციასა და ვიზუალიზაციის მოთხოვნების შესაბამისად (სახელმძღვანელო მითითებები უზრუნველყოფილი იქნება პროექტის განმახორციელებელი მხარეების მიერ).

გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხელმოწერის დღიდან მომდევნო სამი წლის განმავლობაში, GIPA-სა და ახალქალაქის LAG-ის თხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ჩვენება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.